#299 2014 წლის 22 აგვისტო ქ. თბილისი

ქ. სალუქვაძისათვის და მ. ხმალაძისათვის „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს **ქეთევან სალუქვაძესა** და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს **მიხეილ ხმალაძეს** მიენიჭოთ „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**